Capaver® AkkordVlies G45 SP

სპეციალური მინაბოჭკოვანი ფლიზელინი - ინტერიერის კედლების საარმიროდ.
ინტერიერის ფითხთან კომბინაციაში გამოსაყენებლად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

საარმირო მინაბოჭკოვანი ფლიზელინი, ინტერიერის საფითხ მასალებთან კომბინაციაში გამოსაყენებლად. უხეში ზედაპირების გასასწორებლად და შრობითი და ჯდომითი მიზეზით წარმოქმნილი მიკრობზარების გადასაფარად. შესაბამისი ფითხები/პროდუქტები: Akkordspachtel-fein, Akkordspachtel-SF, RatioSpachtel ან AkkordLeichtspachtellmasse.

თვისებები

- არ იბერება
- არ ლპება
- არ განიცდის დეფორმაციას
- ბზარების გადაფარვის უნარით

მასალის შემკვრელი

მინერალური მინის ბოჭკოებისგან დამზადებული მინაქსოვილი

ხელმისაწვდომი სახეობა

დასახელება	ტექსტურა	წონა 1 m²-ზე	რულონის ზომა
AkkordVlies G45 SP	თხელი	დაახლ. 45 გრ.	50 x დაახლ. 1 მ.

შეფუთვის ზომები

ყუთში - 5 რულონი

შენახვის პირობები

შეინახეთ მშრალ ადგილას.

ტექნიკური პარამეტრები

- წონა ზედაპირზე: 1 m²-ზე - დაახლ. 45 გრ.
- მინაბოჭკოების დიამეტრი: 9–12 µm

თავსებადი პროდუქტები

- Caparol-Akkordspachtel fein
- Caparol-Akkordspachtel SF "plus"
- Caparol-AkkordLeichtspachtel
- Caparol RatioSpachtel
- Caparol-AkkordRollspachtel

მითითება

საფითხ მასალაში/პროდუქტში: Caparol-Akkordspachtel SXL-ში, მინაქსოვილის ჩაძირვა უფრო რთულია ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილ ფითხებში, მისი ტიპიური მასალის სიმტკიცის გამო. საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ უნდა მომზადდეს სანიმუშო ადგილები და შემოწმდეს მისი თავსებადობა.

Capaver-ის მინაქსოვილები/ფლიზელინი დამზადებულია მინაბოჭკოებისგან, დიამეტრით > 5 µm (მკმ) და ამიტომ არ გადადის ფილტვებში. მინის ნაწილაკების უმაღლესი დონის ინტეგრაციის მიუხედავად, მაინც შესაძლებელია, რომ მინაქსოვილის გაჭრისას ეს ნაწილაკები ძალიან მცირე რაოდენობით განთავისუფლდნენ და მგრძნობიარე კანის მქონე ადამიანებში გამოიწვიონ ქავილი. ეს ეფექტი სამუშაოს დასრულების შემდეგ ქრება.

Capaver AkkordVlies G45 SP-ით კონსტრუქციული/დინამიური ბზარების გადაფარვა შეუძლებელია.

CAPAROL

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის მინერალური ბათქაშები, PIV ჯგუფის ცემენტის ხსნარების თაბაშირი და მზა ბათქაშები, თაბაშირ-მუყაო, თაბაშირის ფილები, ბეტონის ზედაპირები.
ზედაპირის მომზადება	ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და განმაცალკევებელი ნივთიერებებისაგან თავისუფალი. გაითვალისწინეთ VOB, ნაწილი C, DIN 18363, პარაგრაფი 3-ის ნორმატივები. ასევე გასათვალისწინებელია კაპაროლის ტექნიკური ინფორმაცია N. 650. ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +5 C. ზედაპირის მომზადების ინსტრუქციები იხილეთ შესაბამისი საფითხი მასალის/პროდუქტის ტექნიკურ ინფორმაციაში. **მითითება: Q2/Q3 ფითხი / თხელი თაბაშირის ფილები < 0,5 მმ:** *თაბაშირის შემცველი, ხარისხის Q2/Q3 - დონის ჰიდრავლიკურად შემავსებელი ფითხის გამოყენებისას, რეკომენდებულია გამჭვირვალე, წყლის ბაზაზე არსებული საგრუნტავი მასალის გამოყენება.* *თაბაშირის შემცველი Q3 ფითხების ალტერნატივა, შეიძლება იყოს პასტისებრი საფითხი მასალები.*
დაფარვის სტრუქტურა	დაიტანეთ საფითხი მასალა ზედაპირზე სამყოფად (ფლიზელინის 2-3 ზოლისთვის საკმარისი), უჟანგავი ფოლადის დაკბილული კელმით (6 x 6 მმ). შემდეგ მოათავსეთ დატანილ მასალაში Capaver AkkordVlies G45 SP-ი და თანაბრად დააწექით უჟანგავი ფოლადის კელმით. გაასწორეთ/გაათანაბრეთ ფითხი ქსოვილის სრულ გადაფარვამდე. შემდეგი ზოლი მოათავსეთ დაახლ. 5 სმ. სიგანეზე, ნაპირის - ნაპირზე დადებით. საჭრელი დანით, ნაკერის მიდამოში გააკეთეთ ორმაგი ნაკერის ჩაჭრა და შემდეგ მიაჭირეთ მასალაში. ნაკერებიდან გამოსული საფითხი მასალა, დაუყოვნებლივ უნდა მოიწმინდოს ნოტიო ნაჭერით. ოდნავ აწეული ნაკერების ადგილები, შემდგომ სამუშაოებამდე მსუბუქად დააზუმფარეთ. ფლიზელინი საფითხ მასალაში ისე უნდა მოთავსდეს, რომ ზედაპირზე მისი სტრუქტურა არ იყოს ხილული. საჭიროების შემთხვევაში, გაშრობის შემდეგ ზედაპირი შეიძლება განმეორებით დაიფითხოს. სწორი, გლუვი ზედაპირი გაშრობის შემდგომ მსუბუქად უნდა დაზუმფარდეს და დაიგრუნტოს გამჭირვალე გრუნტით. შემდგომი დანაფარები შერჩეულ უნდა იქნას გამოყენებული საფითხი მასალის/პროდუქტის მიხედვით.
ხარჯი	1,1 მ/მ²
გამოყენების პირობები	როგორც წესი რულონი დაიტანება შიდა მხრით - კედლისკენ.

მითითებები

უტილიზაცია	Capaver-ის მინაქსოვილები/ფლიზელინი შეიძლება უტილიზირებულ იქნას, როგორც სამშენებლო ნაგავი.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge